№571 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, მოსახლეობის სკრინინგული კვლევებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოში 2015 წლის 15 სექტემბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდეს სკრინინგი C ჰეპატიტსა და აივ-ინფექცია/შიდსზე.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**